




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თოფურიძე არჩილ ვალენტინის ძე



ა. თოფურიძე  
ბოქსიორი 1978

თოფურიძე არჩილ ვალენტინის ძე (24. II. 1938, თბილისი, – 4. V. 2011, იქვე), მოქანდაკე. საქართვე. დამს. მხატვარი (1989), დაღესტნის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1963). მისი პედაგოგები იყვნენ ნ. კანდელაკი, შ. მიქაბაძე, ვ. თოფურიძე. თ. იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1970–90). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1964-იდან, კერძოდ, 1977 მონაწილეობდა თბილისში მოწყობილ 5 მოქანდაკის ჯგუფურ გამოფენაში. ძირითადი ნამუშევრები: მაქსიმ გორკი (ბრინჯაო, 1971, თბილისი), ქალის ფიგურა (მარმარილო, 1973, ბიჭვინთა), შინმოუსვლელთა მემორიალი (სპილენძი, 1981, ჭიათურა), ქვაში შესრულებული ბარელიეფები და ფიგურები (1985, ქ. მაჭახცალის სახელმწ. დრამ. თეატრის შენობა) და სხვ. თ-ის ნამუშევრები ინახება თბილისის, მიუნხენის, მოსკოვის, კიევისა და სხვა ქალაქების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

---